

სს ტერაბანკის სავაჭრო ობიექტის პოს-ტერმინალით მომსახურების სტანდარტული პირობები
სავაჭრო ობიექტის პოს-ტერმინალით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი

1. ამ დანართის მიზნებისთვის ქვემოთ მოცემულ დეფინიციებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
 - 1.1. **ბანკი** - სს ტერაბანკი ს.კ204546045 მისამართი საქართველო, თბილისი, 0103, ქეთევან დედოფლის გამზირი #3; საბანკო ლიცენზიის #0110245, გაცემული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ;
 - 1.2. **ბარათი** - საბანკო პლასტიკური ბარათი, რომელიც გამოიყენება როგორც უნაღდო ანგარიშსწორების საშუალება საგადახდო სისტემებისათვის;
 - 1.3. **განაცხადი-სავაჭრო ობიექტის განაცხადი** პოს-ტერმინალით მომსახურების მისაღებად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულებსი განუყოფელ ნაწილს.
 - 1.4. **პოს-ტერმინალი** - ელექტრონული პროგრამულ-ტექნიკური მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება საბანკო ბარათით გადახდის განსახორციელებლად; პოს-ტერმინალის არსებითი შემადგენელი ნაწილია მისი დამტენი;
 - 1.5. **საერთაშორისო საგადახდო სისტემა** - Visa და MasterCard საგადახდო სისტემები;
 - 1.6. **ემიტენტი** - ბარათის გამომშვები, ემიტენტი ბანკი;
 - 1.7. **ექვაირინგი** - ხელშეკრულების საფუძველზე, პოს-ტერმინალის საშუალებით ბარათით გადახდის და შესაბამისი ანგარიშსწორების უზრუნველყოფა.
 - 1.8. **რეფანდის (Refund) ოპერაცია** - სავაჭრო ობიექტის მიერ გაყიდული საქონლის ან/და მომსახურების უკან დაბრუნების გამო, სავაჭრო ობიექტისთვის დაბრუნებული საქონლისთვის ან/და მომსახურებისთვის გადახდილი საფასურის სავაჭრო ობიექტის მიერ გადამხდელისთვის სრულად ან ნაწილობრივ დაბრუნების ოპერაცია;
 - 1.9. **რევერსალის (Reversal) ოპერაცია** - საბარათე ოპერაციის გაუქმების შედეგად თანხის გადამხდელისთვის სრულად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ დაბრუნების ოპერაცია.
 - 1.10. **საპროცესინგო ცენტრი** - ბანკის მომსახურე ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს პოს ტერმინალის ტექნიკურ მომსახურებას და მასზე შესრულებული ტრანზაქციების დამუშავებას;
 - 1.11. **ტრანზაქცია** - ავტორიზაციისა და ანგარიშსწორების პროცედურათა ერთობლიობა;
 - 1.12. **ავტორიზაცია** - ბარათის ემიტენტის ან/და საბარათე საგადახდო სისტემის მიერ გაცემული ნებართვა ბარათით ან მისი რეკვიზიტებით საბარათე ოპერაციის განსახორციელებლად.
 - 1.13. **საბარათე ინსტრუმენტი** - საგადახდო ინსტრუმენტი, მათ შორის, საბანკო ბარათი, მობილური ტელეფონი, ან სხვა ტექნოლოგიური მოწყობილობა, რომელშიც ინტეგრირებულია სათანადო საგადახდო აპლიკაცია და რომლის საშუალებით გადამხდელს შეუძლია განახორციელოს საბარათე ოპერაციის ინიცირება;
 - 1.14. **საბარათე ოპერაცია** - ხელშეკრულების საფუძველზე, პოს-ტერმინალის საშუალებით ბარათით გადახდის შესრულება და შესაბამისი ანგარიშსწორების განხორციელება..
 - 1.15. **საბარათე ქვითარი** - პოს-ტერმინალის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ობიექტისთვის გადამხდელის მიერ მომსახურების/საქონლის საფასურის გადახდას;
 - 1.16. **ჩარჯბეკი (Chargeback)** - განსაზღვრული პროცედურა, როდესაც ემიტენტი ბანკი საერთაშორისო საგადახდო სისტემის წესების შესაბამისად ასაჩივრებს შესრულებულ ტრანზაქციას და უკან ითხოვს ტრანზაქციის მთლიან ან ნაწილობრივ თანხას ექვაირი ბანკისგან.
 - 1.17. **სავაჭრო ობიექტი** - პირი, რომლის სახელწოდება/ სახელი, გვარი და საიდენტიფიკაციო მონაცემები მოცემულია განაცხადში/ხელშეკრულებაში და რომელსაც ბანკი უწევს სავაჭრო ობიექტის პოს-ტერმინალით მომსახურებას.
 - 1.18. **საკომისიო** - წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელების საზღაური, რომელსაც ობიექტი უხდის ბანკს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ტარიფის შესაბამისად;
 - 1.19. **საბანკო დღე** - (შაბათის, კვირის ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ოფიციალური დასვენების დღეების გარდა), როდესაც საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები ღიაა და წარმართავენ თავიანთ ჩვეულებრივ საქმიანობას;
 - 1.20. **საოპერაციო დღის დახურვა** - კონკრეტული პერიოდის განმავლობაში პოს-ტერმინალით შესრულებული ოპერაციების შეჯამება;
 - 1.21. **მხარე/მხარეები** - ბანკი ან/და სავაჭრო ობიექტი/ ობიექტი (კონტექსტის შესაბამისად);
 - 1.22. **მესამე პირი** - ნებისმიერი პირი გარდა ბანკის ან/და სავაჭრო ობიექტისა/ ობიექტისა.
 - 1.23. **განაცხადი-სავაჭრო ობიექტის მიერ ბანკის დადგენილი ფორმით წარდგენილი განაცხადი** პოს-ტერმინალით მომსახურების მისაღებად, განაცხადი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
 - 1.24. **გადამხდელი** - ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც გადახდას ახორციელებს სავაჭრო ობიექტთან არსებული პოს ტერმინალის საშუალებით;

1.25. ხელშეკრულება - ბანკსა და სავაჭრო ობიექტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება სავაჭრო ობიექტის პოს-ტერმინალით მომსახურების შესახებ რომლის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს წინამდებარე დანართი.

2. ზოგადი

- 2.1 წინამდებარე დანართი წარმოადგენს ბანკსა და სავაჭრო ობიექტს შორის გაფორმებული სავაჭრო ობიექტის პოს-ტერმინალით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ხელშეკრულებასა და დანართს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება წინამდებარე დანართის პირობებს.
- 2.2 ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები წინამდებარე პირობებში აღნიშნულის შესახებ ბანკი სავაჭრო ობიექტის ინფორმირებას მოახდენს ცვლილებების ძალაში შესვლამდე ერთი თვით ადრე ინტერნეტბანკით ან/და ელექტრონული ფოსტით, რა შემთხვევაშიც ობიექტი უფლებამოსილია ბანკის მიერ ინფორმაციის მიწოდებიდან მის ძალაში შესვლამდე სათანადო განაცხადის წარდგენით მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა განსაზღვრული ყველა ან რომელიმე მომსახურების შეწყვეტა, რისთვისაც სრულად უნდა დაფაროს ბანკის წინაშე არსებული დავალიანება (არსებობისას). წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკის შეთავაზებული ცვლილებები მიჩნეული იქნება სავაჭრო ობიექტის მიერ მიღებულად;
- 2.3 სავაჭრო ობიექტის სავაჭრო/მომსახურების ობიექტის დასახელება და საქმიანობის სფერო განისაზღვრება განაცხადით.
- 2.4 განაცხადში დაფიქსირებულ სავაჭრო ობიექტის ფოსტის მისამართზე ან/და ინტერნეტბანკის მეშვეობით ბანკსა და სავაჭრო ობიექტს შორის განხორციელებული ნებისმიერი კორესპონდენცია წარმოადგენს მხარეთა შორის ოფიციალურ კომუნიკაციას.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1 ბანკი ვალდებულია:

- 3.1.1 უწყვეტ რეჟიმში უზრუნველყოს ბარათების ავტორიზაცია;
- 3.1.2 უზრუნველყოს, რომ გადამხდელი პოს-ტერმინალით ინიცირების პროცესში ეკრანზე ხედავდეს ოპერაციის თანხას და ვალუტას;
- 3.1.3 სავაჭრო ობიექტი უზრუნველყოს საბარათე ოპერაციების მისაღებად საჭირო ყველა ინფორმაციითა და საშუალებით, მხარეთა შესაბამისი შეთანხმების შესაბამისად მოამზადოს სავაჭრო/მომსახურების ობიექტის შესაბამისი პერსონალი, პერიოდულად ჩაუტაროს მათ ტრენინგები და გადაამზადოს ახალი პერსონალი.
- 3.1.4 დახმარება გაუწიოს ობიექტს პოს-ტერმინალის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში;
- 3.1.5 ობიექტს ანგარიშზე ჩაურციხოს ტერმინალით განხორციელებული გარიგებების თანხები ბანკის საკომისიოს გამოკლებით საპროცესინგო ცენტრისგან შესაბამისი თანხის მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) საბანკო დღის ვადაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ოპერაცია ბანკის მიერ საეჭვოდ იქნება მიჩნეული .

3.2 ბანკი უფლებამოსილია:

- 3.2.1 განახორციელოს ბანკის კუთვნილი საკომისიოს დაკავება საბარათე ოპერაციის თანხიდან, უაქცეპტოდ, ობიექტის ანგარიშზე საბარათე ოპერაციის თანხის ჩარიცხვამდე;
- 3.2.2 არ მოახდინოს ობიექტისათვის თანხების გადარიცხვა და საბარათე ქვითარი ჩათვალოს ბათილად თუ:
- ოპერაცია შესრულებულია ბარათით საერთაშორისო საგადახდო სისტემის წესების დარღვევით;
 - საპროცესინგო ცენტრიდან მიღებული შეტყობინება აღნიშნული ტრანზაქციის ჩატარებაზე არ იყო დადებითი;
 - საბარათე ქვითარი არ არის შესაბამისად ავტორიზებული/დამოწმებული ბარათის მფლობელის მიერ.
- 3.2.3 არ განახორციელოს საბარათე ოპერაცია, რეფანდის (Refund) ოპერაცია ან/და განაღდების ოპერაცია ობიექტის მიერ ხელშეკრულებით (მათ შორის ამ დანართით) ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში;
- 3.2.4 დააწესოს ან/და შეცვალოს თანხობრივი ლიმიტი დროის გარკვეულ მონაკვეთში (მაგ. დღე, კვირა, თვე და ა.შ.) შესრულებული/შესასრულებელი საბარათე ოპერაციისთვის;
- 3.2.5 არ განახორციელოს მომსახურება იმ საბარათე ოპერაციისთვის რომლებიც აჭარბებს ბანკის მიერ დადგენილ თანხობრივ ლიმიტს;
- 3.2.6 განიხილოს საბარათე ოპერაციასთან დაკავშირებული დავები, საერთაშორისო ან ლოკალური საგადახდო სისტემების წესებისა და კანონმდებლობის მიხედვით და ბანკის კლიენტთა პრეტენზიების მართვის პროცედურის შესაბამისად;

- 3.2.7 არ გადაუხადოს ობიექტის ის თანხები, ან მომდევნო ანგარიშსწორების თანხიდან დააკავოს ბანკის მიერ ობიექტის ანგარიშზე ადრე ჩარიცხული ის თანხები, რომლებიც საერთაშორისო საგადასახადო სისტემების წესების მიხედვით შეიძლება გახდეს დავის საგანი ან/და უკვე წარმოადგენს დავის საგანს და დაკავება განახორციელოს იმ შემთხვევაშიც, თუ ობიექტს იმ მომენტისათვის არ გააჩნია შესაბამისი სახსრები; ტრანზაქციის გასაჩივრების პროცესის ბარათის მფლობელის სასარგებლოდ დასრულების შემთხვევაში, წარმოქმნილი დავალიანების დაფარვა სრულად ეკისრება ობიექტს;
- 3.2.8 არ განახორციელოს ექვირინგი, ობიექტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის დარღვევის შემთხვევაში;
- 3.2.9 მოითხოვოს ობიექტისგან ყველა საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია, როგორც სადავო ტრანზაქციის შემთხვევაში, აგრეთვე, ნებისმიერი საექვო და უკანონო გარიგებისას;
- 3.2.10 იმ შემთხვევაში, თუ ერთი კალენდარული თვის განმავლობაში ჩარჯბექის თანხა მიაღწევს გარიგებათა საერთო თანხის 1%-ს ან მკვეთრად გაიზრდება ტრანზაქციათა რაოდენობა და/ან თანხა, მიზეზის დადგენამდე (შემოწმების საფუძველზე), დროებით შეაჩეროს ობიექტთან ანგარიშსწორება და ბარათების მომსახურება;
- 3.2.11 პოს-ტერმინალის დაზიანების შემთხვევაში ობიექტისგან მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება;
- 3.2.12 უაქცეპტო წესით დააკავოს/ჩამოჭრას ობიექტის ბანკში არსებული ნებისმიერი საბანკო ანგარიშ(ებ)იდან, ობიექტის მიერ პოს-ტერმინალის დაზიანების ან/და წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის ან/და პირგასამტეხლოს თანხები.
- 3.2.13 ცალმხრივად, ზიანის (ზარალის) ანაზღაურების გარეშე, უარი განაცხადოს მომსახურებაზე და დაუყოვნებლივ, სრულად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, სავაჭრო ობიექტისთვის კომუნიკაციისთვის ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით ინფორმირებით.

3.3 ობიექტს უფლება აქვს:

- 3.3.1 საოპერაციო დღის დახურვამდე განახორციელოს რევერსალის (Reversal) ოპერაცია, ხოლო ბანკის წინასწარი თანხმობის შემთხვევაში, პოს-ტერმინალის მეშვეობით მისცეს ბანკს დავალეზა რეფანდის (Refund) ოპერაციის შესრულებასთან დაკავშირებით;
- 3.3.2 მიიღოს დამატებითი კონსულტაციები ბარათებით ოპერაციების წარმოების შესახებ;
- 3.3.3 მოითხოვოს და განაცხადში დაფიქსირებულ ან და ბანკისთვის მიწოდებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე თვეში ერთხელ მიიღოს მიიღოს ამონაწერი პოს-ტერმინალ(ებ)ზე ჩატარებული გადახდების შესახებ. ტრანზაქციის უნიკალური კოდის და სავაჭრო/მომსახურების ობიექტის ანგარიშზე ჩასარიცხი/ჩარიცხული საბარათე ოპერაციის თანხის და ვალუტის მითითებით.

3.4 ობიექტი ვალდებულია:

- 3.4.1 ბარათების ავტორიზაციის ჩატარება მოითხოვოს მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში, ლარში;
- 3.4.2 ავტორიზაციასთან დაკავშირებით წარმოშობილი ნებისმიერი ხარვეზის/დარღვევის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს;
- 3.4.3 იმ შემთხვევაში, თუ ბარათით ანგარიშსწორებისას აღმოაჩენს, რომ: ბარათი არის დაბლოკილი ემიტენტი ბანკის მიერ, დააკავოს აღნიშნული ბარათი და გადაუგზავნოს ბანკს.
- 3.4.4 არ მოითხოვოს გადამხდელისგან მისი პირადი რეკვიზიტები როგორც საბარათე ოპერაციის ოპერაციის ან/და განაღდების ოპერაციის განხორციელების აუცილებელი პირობა
- 3.4.5 არ მოითხოვოს გადამხდელს ან/და თავად არ გადაიღოს ბარათის ასლი.
- 3.4.6 ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მიიღოს გადამხდელის მიერ წარდგენილ ნებისმიერი ტიპის Visa /MasterCard ბარათი და გარდა ტექნიკური შეფერხებით გამოწვეული მიზეზებისა, გადამხდელს არ განუცხადოს უარი ბარათით გადახდის შესრულებაზე;
- 3.4.7 არ გაამძიროს სარეალიზაციო მომსახურების/საქონლის საფასური იმის გამო, რომ მომხმარებელი გამოთქვამს სურვილს გამოიყენოს პოს-ტერმინალი, როგორც შესაძენი მომსახურების/საქონლის საფასურის გადახდის საშუალება;
- 3.4.8 არ გადასცეს მესამე პირს ინფორმაცია ბარათებით ჩატარებულ ოპერაციებზე და დაიცვას საბარათე ანგარიშებთან დაკავშირებული ინფორმაციის სრული კონფიდენციალობა;
- 3.4.9 გადაამოწმოს საბარათე ქვითარი და დარწმუნდეს ბარათით გადახდის ავტორიზაციის განხორციელებაში/დადასტურებაში.
- 3.4.10 შეინახოს საბარათე ქვითრები 6 (ექვსი) თვის განმავლობაში და გადასცეს ბანკს მოთხოვნისთანავე ერთი საბანკო დღის ვადაში;
- 3.4.11 მოთხოვნისთანავე გადასცეს ბანკს ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაცია/დოკუმენტაცია სადავო ტრანზაქციის მიღების ან ნებისმიერი საექვო გარიგების გამოვლენის შემთხვევაში;

- 3.4.12 დაუყოვნებლივ აღკვეთოს და გადასცეს ბანკს ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაცია/დოკუმენტაცია სადავო ტრანზაქციის მიღების ან ნებისმიერი საექვო გარიგების გამოვლენის შემთხვევაში, მათ შორის, მაგრამ არასრულად: ა) ოპერაციის განხორციელების მცდელობა ვადაგასული, დაბლოკილი ან სტანდარტული რეკვიზიტების არმქონე ბარათით; ბ) ბარათზე მისი მფლობელის ხელმოწერის არარსებობა, ბარათზე ხელმოწერის ზოლის არსებობის შემთხვევაში (მაგნიტური ზოლით ოპერაციის შესრულებისას); გ) მაგნიტური ზოლით ოპერაციის შესრულებისას, ბარათზე შესრულებული ხელმოწერის ოპერაციის საბარათე ქვითარზე შესრულებულ ხელმოწერასთან შეუსაბამობა;
- 3.4.13 ბარათთან ან/და გადამხდელთან დაკავშირებით მიმართებაში რაიმე ეჭვის შეტანის შემთხვევაში, მოსთხოვოს გადამხდელს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ბარათზე არსებული მფლობელის სახელი და გვარი და გარეგნობა უნდა დაემთხვეს აღნიშნული დოკუმენტის/ფოტოსურათს, წინააღმდეგ შემთხვევაში ბარათი გადახდისთვის არ მიიღება;
- 3.4.14 საერთაშორისო საგადახდო სისტემიდან მიღებული სადავო ტრანზაქციის გასაჩივრების პროცესის ბარათის მფლობელის სასარგებლოდ დასრულების შემთხვევაში, მოახდინოს ბანკისთვის ჩარჯბექის თანხის სრული ანაზღაურება 3 (სამი) საბანკო დღის ვადაში;
- 3.4.15 პოს-ტერმინალთან მუშაობის უფლება მისცეს მხოლოდ ინსტრუქცია გავლილ თანამშრომლებს;
- 3.4.16 ბანკისგან მიღებული სარეკლამო-საინფორმაციო მასალები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოიყენოს მხოლოდ ბანკთან შეთანხმებული პირობებით;
- 3.4.17 გამოიყენოს პოს-ტერმინალი და მასთან დაკავშირებული სხვა ნივთი/დოკუმენტაცია/ინფორმაცია მხოლოდ ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნებისათვის და არ დაუშვას მათი დაკარგვა/დაზიანება;
- 3.4.18 არ მისცეს მესამე პირს პოს-ტერმინალის გამოყენების უფლება, ხოლო, აღნიშნული მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში უზრუნველყოს ბანკისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება;
- 3.4.19 ხელშეკრულების მოქმედების ვადამდე შეწყვეტის, ან მისი მოქმედების ვადის გასვლის შემთხვევაში დაუბრუნოს ბანკს პოს-ტერმინალები ხელშეკრულების მოქმედების ვადამდე შეწყვეტიდან ან მისი ვადის გასვლიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში;
- 3.4.20 საბარათე ოპერაციის განხორციელებამდე გადამხდელისათვის თვალსაჩინო გახადოს ოპერაციის თანხა პოს-ტერმინალის ეკრანის ან პოს-ტერმინალთან ინტეგრირებული სხვა ეკრანის საშუალებით;
- 3.4.21 დაიცვას ამ დანართით გათვალისწინებული ბარათის საგადახდო საშუალებად მიღების წესები და საბარათე ოპერაციის შესრულების პროცედურა.

4. ბარათის საგადახდო საშუალებად მიღების წესები და საბარათე ოპერაციის შესრულების პროცედურა.

- 4.1 ბარათის საგადახდო საშუალებად მიღებისას სავაჭრო ობიექტი ვალდებულია:
- შეამოწმოს ბარათის მოქმედების ვადა.
 - შეამოწმოს, რომ ბარათი არ არის დაზიანებული.
- 4.2 საბარათე ოპერაციის განსახორციელებლად ბარათი უნდა გატარდეს პოს-ტერმინალში და კლავიატურის მეშვეობით, ან ინტეგრირებული კომპიუტერული სისტემის მეშვეობით, მიეთითოს საბარათე ოპერაციის თანხა, რის შემდეგაც ობიექტის წამომადგენელი უნდა დაელოდოს ბარათით გადახდის ავტორიზაციის ცენტრიდან პასუხს.
- 4.3 პოს-ტერმინალიდან საბარათე ქვითრის ამობეჭდვის შემდგომ ობიექტი ვალდებულია დარწმუნდეს, რომ საბარათე ქვითარზე დაბეჭდილი ბარათის ნომერი ემთხვევა ბარათზე არსებულ ბარათის ნომერს (პირველი 4 ციფრი და ბოლო 4 ციფრი). თუ ბარათზე არსებული ნომერი არ ემთხვევა საბარათე ქვითარზე დაბეჭდილ ნომერს, ბარათი გადახდისათვის ან თანხის განაღდებისთვის არ მიიღება და ობიექტი დაუყოვნებლივ უნდა დაუკავშირდეს ბანკს.
- 4.4 პოს-ტერმინალის საშუალებით ბოლოს განხორციელებული საბარათე ოპერაციის გაუქმება შესაძლებელია პოს-ტერმინალით (კლავიში CANCEL და შემდეგ OK).
- 4.5 თუ ბარათით გადახდის ავტორიზაციის პასუხით მოითხოვება წარდგენილი ბარათის ამოღება, ასევე ვადაგასული, დაბლოკილი, ან სტანდარტული რეკვიზიტების არ მქონე ბარათის წარმოდგენის შემთხვევაში, ან იმ შემთხვევაში, თუ ბარათი არ არის წარმოდგენილი მისი კანონიერი მფლობელის მიერ, ობიექტმა ამის შესახებ უნდა აცნობოს ბარათის მფლობელს, დაიტოვოს ბარათი და ურჩიოს გადამხდელს მიმართოს ბარათის ემიტენტ ბანკს. ასეთ შემთხვევაში, ობიექტმა უნდა გადაჭრას ბარათი მაკრატლით ისე, რომ ჰოლოგრაფმა, ბარათის ნომერი და მაგნიტური ზოლი არ დაზიანდეს და აღნიშნული ფაქტის თაობაზე უნდა შეივსოს აქტი ბარათის ამოღებაზე. ამასთან, ამოღებული ბარათი შევსებულ აქტთან ერთად უნდა გადაეცეს ბანკს 3 (სამი) საბანკო დღის განმავლობაში.